პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI — ОРГАН ЦК КП ГРУЗИН. ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1975 ხუთშაბათი 4 სექტემბერი № 207 (16333) ფასი 2 კაპ. 1975

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 თებერვლიდან

ღირსეული შეხვედრა — სკკპ XXV ყრილობას

ბუნებრივი მილობა

ერთიანელი ბიბ—ლიოთეკა

ლ. ი. ბრეჟნევმა, ნ. ვ. პოდგორნიმ და ა. ნ. კოსიგინმა მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნეს ფინეთის [illegible] კონენს.

თქვენი დაბადების 75-ე წლისთავის დღეს, — ნათქვამია დეპეშაში, — დიდ კმაყოფილებას გვანიჭებს გულთბილად მოგილოცოთ ფინეთის რესპუბლიკის გამოჩენილ სახელმწიფო მოღვაწეს, საბჭოთა კავშირის დიდ მეგობარს.

ჩვენს ქვეყანაში ფართოდ არის ცნობილი, რომ თქვენ იდექით საბჭოთა კავშირ-ფინეთის მეგობრული ურთიერთობის ჩამოყალიბებასა და განვითარების სათავეებთან, ქმედითად უწყობდით ხელს მის გაღრმავებასა და ყოველმხრივ განვითარებას. საბჭოთა კავშირში დიდად აფასებენ თქვენს აქტიურ მონაწილეობას, ბატონო პრეზიდენტო, 1948 წლის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების დადებასა და განმტკიცებაში, რომელიც საბჭოთა კავშირ-ფინეთის ურთიერთობის მტკიცე საძირკველი და ჩრდილოეთ ევროპის მშვიდობისა და უშიშროების დიდმნიშვნელოვან ფაქტორი გახდა.

საბჭოთა კავშირ-ფინეთის ურთიერთობა მკაფიოდ ადასტურებს, თუ რა ნაყოფიერია სხვადასხვა საზოგადოებრივ-ეკონომიური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პრინციპები. გულწრფელად გეახარებს მეგობრობის, ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის სულისკვეთება, რომელიც დამყარდა რეგულარული პირადი კონტაქტების პროცესში, რაც უკვე კეთილ ტრადიციად იქცა ჩვენს ურთიერთობაში.

ჰელსინკში ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის საბოლოო ეტაპის წარმატებით დამთავრებამ დაადგინა კონტინენტის მთელი მშვიდობისმოყვარე ძალების მიზანდასახული ბრძოლის პროცესი, და დარწმუნებული ვართ, რომ თათბირზე მიღწეულ შეთანხმებათა თანამიმდევრული განხორციელება კეთილნაყოფიერ გავლენას მოახდენს ევროპის ხალხთა ცხოვრებაზე, დიდმნიშვნელოვანი წვლილი იქნება საყოველთაო მშვიდობის განმტკიცების საქმეში.

თქვენ, ბატონო პრეზიდენტო, საქვეყნოდ მოიხვეჭეთ საერთაშორისო სახელი და ავტორიტეტი როგორც დაძაბულობის შენელების, მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების აქტიურმა მომხრემ. საყოველთაო მშვიდობის განმტკიცების ინტერესებისათვის თქვენს ენერგიულ საქმიანობას მუდამ გავებითა და სრული მხარდაჭერით ეკიდებიან საბჭოთა კავშირში.

ნება გვიბოძეთ გისურვოთ, ბატონო პრეზიდენტო, ჯანმრთელობა და ახალი წარმატებები ფინელი ხალხის და ჩვენი ქვეყნების მეგობრობის შემდგომი განმტკიცების საკეთილდღეოდ თქვენს ნაყოფიერ საქმიანობაში.

საკლესიო ცნობა

მშვიდობიანი მიზნით კოსმოსური სივრცის კვლევისა და გამოყენების დარგში სოციალისტური ქვეყნების თანამშრომლობის პროგრამის შესაბამისად 1975 წლის 2 სექტემბერს 7 საათსა და 40 წუთზე მოსკოვის დროით სსრ კავშირის ეკოთუალი ნაწილის შუა განედების ტერიტორიიდან გაუშვეს გეოფიზიკური რაკეტა „ვერტიკალ-3“ 502 კილომეტრ სიმაღლეზე.

„ვერტიკალ-3“ გეოფიზიკური რაკეტა განაგრძობს დედამიწის ატმოსფეროსა და იონოსფეროს კომპლექსურ კვლევას, აგრეთვე დედამიწის ატმოსფეროზე მზის მოკლეტალღიანი გამოსხივების ზემოქმედებას.

97 კილომეტრ სიმაღლეზე რაკეტასმოცილებული ხელსაწყოს კონტეინერში დადგმული იყო სამეცნიერო აპარატურა, რომელიც დამზადებულია ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, საბჭოთა კავშირსა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში.

„ვერტიკალ-3“ გეოფიზიკური რაკეტის გაშვების რაიონში ერთდროულად გაუშვეს ორი მეტეოროლოგიური რაკეტა 8-100 სამეცნიერო აპარატურით, რომელიც დამზადებულია ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკასა და საბჭოთა კავშირში, აგრეთვე მოეწყო იონოსფეროს სხვადასხვა პარამეტრის გაზომვები დედამიწაზე.

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სპეციალისტები მონაწილეობდნენ „ვერტიკალ-3“ რაკეტაზე დადგმული სამეცნიერო აპარატურის დამონტაჟებასა და გამოცდაში, აგრეთვე მის გაშვებაში.

ერთობლივი ექსპერიმენტის მონაწილე ქვეყნების სამეცნიერო ორგანიზაციებმა დაიწყეს მიღებული ინფორმაციის დამუშავება.

მიფრინავს „მოლნია-1“

1975 წლის 2 სექტემბერს საბჭოთა კავშირში გაუშვეს კავშირის მორიგი თანამგზავრი „მოლნია-1“. კავშირის თანამგზავრი „მოლნია-1“ განკუთვნილია იმისათვის, რომ უზრუნველყოს შორეული სატელეფონო-სატელეგრაფო რადიოკავშირის სისტემის ექსპლოატაცია, აგრეთვე სსრ კავშირის ცენტრალური ტელევიზიის პროგრამები გადასცეს „ორბიტას“ ქსელის პუნქტებში, რომლებიც განლაგებულია უკიდურესი ჩრდილოეთის, ციმბირის, შორეული აღმოსავლეთისა და შუა აზიის რაიონებში.

თანამგზავრი გაყვანილია მაღალელიფსური ორბიტაზე, რომლის აპოგეა 40.681 კილომეტრი ჩრდილოეთ ნახევარსფეროში და პერიგეა — 639 კილომეტრი სამხრეთ ნახევარსფეროში. თანამგზავრის გარშემოვლის პერიოდია 12 საათი და 17 წუთი, ორბიტის დახრილობა — 62,8 გრადუსი.

თანამგზავრზე, გარდა ტელევიზიის პროგრამების გადასაცემი და შორეული მრავალარხიანი რადიოკავშირის უზრუნველსაყოფი აპარატურისა, დადგმულია საკომანდო-საზომი კომპლექსის აპარატურა, აგრეთვე თანამგზავრის ორიენტაციის, ორბიტის კორექციისა და ენერგოკვების სისტემები.

მიღებული მონაცემებით, თანამგზავრზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს, კავშირის სეანსები „მოლნია-1“ თანამგზავრის მეშვეობით მოეწყობა დასახული პროგრამის შესაბამისად.

(საკლესი).

„ლუნა-22“ თხუთმეტი თვე მთვარისირგვლივ ორბიტაზე

შორეული კოსმოსური კავშირგაბმულობის ცენტრი, 3 სექტემბერი, (საკლესი). ფრენას გაგრძობს ავტომატური სადგური „ლუნა-22“, რომელიც სელენოცენტრულ ორბიტაზე გაიყვანეს 1974 წლის 2 ივნისს.

24 აგვისტოს დამატებით შემუშავებული პროგრამის შესაბამისად განხორციელდა სადგურის მოძრაობის ტრაექტორიის კორექცია. მოწყობილი მანევრის შედეგად ორბიტის პერიცენტრი მთვარის ზედაპირიდან 30 კილომეტრამდე შემცირდა.

სადგურის პერიცენტრის რაიონში ფრენის დროს ოპტიკურ-მექანიკური და სატელევიზიო მოწყობილობის დახმარებით მიღებულია მთვარის ზედაპირის მაღალხარისხოვანი ვიმოსახულებანი. ამავე რაიონში შესრულდა მთვარისა და მთვარისირგვლივი სივრცის მეცნიერულ კვლევათა კომპლექსი.

დაგეგმილი ექსპერიმენტების შესრულების შემდეგ სადგური გადაყვანილ იქნა ორბიტაზე, რომლის პარამეტრებია:

— მაქსიმალური სიმაღლე მთვარის ზედაპირიდან 1286 კილომეტრი;

— მინიმალური სიმაღლე მთვარის ზედაპირიდან — 100 კილომეტრი;

— დახრილობა მთვარის ეკვატორის სიბრტყისადმი — 21 გრადუსი;

— გარშემოვლის პერიოდი — 3 საათი.

„ლუნა-22“ სადგურის სიბორტო სისტემები და აპარატურა მთვარისირგვლივ ორბიტაზე ხანგრძლივი ფრენის შემდეგ ნორმალურად მუშაობენ. სადგურიდან მიღებულ ინფორმაციებს ამუშავებენ და სწავლობენ. გრძელდება მეცნიერული კვლევა „ლუნა-22“ ავტომატური სადგურის დახმარებით.

კომუნისტთა საქართველოს ცხოვრების სარკე

ჩვენს რესპუბლიკაში დაიწყო პარტიული ორგანოების ანგარიშგება-არჩევნები. როგორც წესი, პირველად კრებები გაიმართება პარტიულ ჯგუფებსა და საამქრო პარტიულ ორგანიზაციებში, შემდეგ კი ყველა პირველადს ორგანიზაციაში, რასაც მოჰყვება პარტიის რაიონული, საქალაქო, საოლქო კონფერენციები.

ამბობენ, ანგარიშგება-არჩევნები დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა კომუნისტთა ცხოვრებაშიო. დიახ, ეს ჭეშმარიტად ასეა. პარტიული საანგარიშო-საარჩევნო კრება, თუ კი იგი სასურველ დონეზე მოეწყო, ის სარკეა, რომელშიც ნათლად და მკვეთრად აისახება კომუნისტთა კოლექტივების ცხოვრების მთელი სინამდვილე, მათი ავკარგი, გაწეული საქმიანობის ყოველი მხარე.

მაგრამ წლევანდელი ანგარიშგება-არჩევნები, რაც ეს-ეს არის დაიწყო, მაინც განსაკუთრებულია. იგი იმართება მეცხრე ხუთწლედის მიწურულში, სწორედ იმ პერიოდში, რომ ყოველი დღე, ყოველი საათი მხოლოდ დამკვრელური უნდა იყოს, როცა არა მარტო ამ წლის, არამედ მთელი ხუთწლედის შემოდგომაა, და როგორც იტყვიან, „წიწილებიც მალე უნდა დავითვალოთ“.

ამიტომ ყველგან, ეს იქნება პარტიული ჯგუფისა თუ პირველადი პარტიული ორგანიზაციის, საანგარიშო პერიოდში გაწეული მუშაობის შეფასებასთან ერთად, ბუნებრივია, კომუნისტთა სჯა-ბაასი წარიმართება ბმაზეც. თუ ვინ, როელმა კოლექტივმა რა გააკეთა ბოლიანად მეცხრე ხუთწლედისათვის, ჩვენი პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის და როგორ ეგებება იგი მორიგ დიდ პარტიულ ფორუმს.

მთავარზე მთავარი ის არის, რომ კომუნისტთა ყველა კოლექტივმა შეძლოს ამ კრებებზე ხალად, სწორად, მთელი სიმართლით გააანალიზოს განვლილი პერიოდი, რომელიც აღსავსეა შემოქმედებითი, ნოვატორული საქმიანობით. ჩვენი პარტორგანიზაციების მიერ შეძენილი გამოცდილების, დადებითი მუშაობის გავრცელება, ამასთან ხიძნელეთა დაძლევის, ნაკლოვანებათა გამოსწორების კონკრეტული და ეფექტური გზების ძიება — აი ამოცანა, რომელიც უნდა წარმატებით გადაწყვეტან საანგარიშო-საარჩევნო პარტიულმა კრებებმა და კონფერენციებმა.

სოციალისტური შეჯიბრების საკითხები პარტორგანიზაციათა ყურადღების ცენტრში იყო, და ამჯერადაც კომუნისტთა საუბრის მთავარი თემა იქნება. ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „სკკპ XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის სოციალისტური შეჯიბრების შესახებ“ ახალ მოთხოვნებს უყენებს პარტიის თვითეულ ძირითად რგოლს, თვითეულ კომუნისტს. ახლა ჩენა პლანზე წამოყენებულია მთელი ჩვენი მუშაობის ხარისხი. სწორედ ეს უნდა იყოს ორიენტირი ყოველი არჩევითი პარტიული ორგანოს მუშაობის შეფასებას დროსაც.

უაღრესად ბევრი გვაქვს საალაპარაკო და განსახილველი. როგორ ვიყენებთ საწარმოო სიმძლავრეებს, არსებულ რეზერვებს, მიწას, ტექნიკას. ნოვატორთა გამოცდილებას? ვაღწევთ თუ არა თვითეულ უბანზე მაქსიმალურ ეკონომიურ უკუგებას? მომჭირნეობით ვხარჯავთ თუ არა ნედლეულ მასალებს, ელექტროენერგიას? როგორ ვიჩქარებთ ტექნიკურ პროგრესს? ეს და სხვა მთელი რიგი პრობლემები, როგორც საანგარიშო მოხსენებებში, ისე კამათის მონაწილეთა სიტყვებში მჭიდროდ უნდა იქნას დაკავშირებული პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გულმოდგინე ანალიზთან.

საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებს განსაკუთრებული საუბარი მართებთ იმაზე, თუ როგორ ძლევენ ისინი წარსული წლების სერიოზულ დამბინძრებებსა და შეცდომებს, როგორ ებრძვიან სხვადასხვა ნეგატიურ მოვლენებს, როგორ ამაღლებენ ადამიანთა პერსონალური პასუხისმგებლობას და გამამტკიცებენ პარტიულ და შრომითს დისციპლინას.

სამწუხაროდ, რესპუბლიკაში ჯერ კიდევ არიან ისეთი პირველადი და საამქრო პარტიული ორგანიზაციები, ისეთი პარტიული ჯგუფები, რომლებიც ძველებურად ერთ ადგილს ტკეპნიან, სათანადო პარტიულ ზეგავლენას ვერ ახდენენ ვერც საშეურნეო საქმიანობაზე და ვერც ადამიანთა აღზრდაზე. ზოგან მაგრად არის ფესვგადგმული ფორმალიზმი და ბიუროკრატიზმი, არ ასრულებენ მიღებულ გადაწყვეტილებებს, პატივისცემით არ სარგებლობს კრიტიკა და თვითკრიტიკა — დამბინჯებათა აღკვეთის, ნაკლის გამოსწორების ეს უბადლო საშუალება.

რა თქმა უნდა, თვითეულ პარტიულ ორგანიზაციას, ვინაიდან ისინი სხვადასხვა უბანზე, სხვადასხვა სფეროში მოღვაწეობენ, თავისი კონკრეტული ამოცანები და საზრუნავი აქვს. მაგრამ სადაც არ უნდა იღვწოდეს, მოქმედებდეს, ყველა პარტიულ ორგანიზაციას აქვს საერთო ამოცანებიც. მათ შორის უმთავრესია იდეოლოგიური საქმიანობის გაუმჯობესება, მისი ურთიერთობის განუხრელი განმტკიცება ცხოვრებასთან. მალე დაიწყება ახალი სასწავლო წელი პოლიტიკური განათლების ქსელში. საჭიროა ისიც გულდასმით გავიაზროთ და განვაზოგადოთ, თუ პოლიტიკური ზეგავლენისა და სწავლების რომელმა ფორმამ გაამართლა, რა იქნება სასარგებლო და რა არის საჭირო ახალი სასწავლო წლიდან, რომ მშრომელთა ფართო მასებს ჩამოვუყალიბოთ მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობა და კომუნისტური მორალი.

როგორც ხშირად ამბობენ, საანგარიშო-საარჩევნო კრების მთელ მსვლელობას მოხსენებამ უნდა მისცეს ტონი. საანგარიშო მოხსენებაში სიმართლით, დიდი ხიზუსტით, ამასთან გულახდილობითა და პრინციპულობით უნდა იყოს ნათქვამი როგორც დადებით, ისე უარყოფით ფაქტებზე, გათვალისწინებულსა და გაკეთებულთან ერთად გაუთვალისწინებელსა და გაუკეთებელზე. კრიტიკას ნამდვილი მისამართი უნდა ჰქონდეს და იგი საქმის უთუო გამოსწორებას უნდა ემსახურებოდეს. მაგრამ ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ კამათსაც წინასწარ ზრუნვა უნდა, კრების დაწყებამდე კომუნისტები ბევრი რამის საქმის კურსში უნდა ჩავაყენოთ, რომ ისინი ზზად იყვნენ გამოსვლებისათვის, შეეძლოთ კონკრეტულად, ფაქტებით ლაპარაკი.

წელს აღარ უნდა განმეორდეს წინა წლების შეცდომები, როცა საანგარიშო-საარჩევნო კრებებს ზოგან გადაპკრავდა პარადულობის, მიღწეულის გაზვიადების, ტრაბახის ელფერი. კომუნისტები ყველგან უნდა მიეჩვიონ თვითდისციპლინასა და თვითკონტროლს, მიღწეულით დაუკმაყოფილებლობის გრძნობას. დღეს განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ვ. ი. ლენინის მოწოდება, რომ „ძირს ბაქიბუქობა! სერიოზული მუშაობისათვის, დისციპლინისა და ორგანიზაციისათვის!“

პარტიის თბილისის რაიკომებში, ქუთაისის საქალაქო კომიტეტში, აგრეთვე მთელ რიგ საქალაქო და რაიონულ კომიტეტებში შარშან და შარშანწინ კარგი პრაქტიკა დამკვიდრდა. ისინი ყოველდღიურად ისმენდნენ და განიხილავდნენ ჩატარებულ საანგარიშო-საარჩევნო კრებების შედეგებს და ოპერატიულად ხახავდნენ ღონისძიებებს შემჩნეული ნაკლოვანებების გამოსასწორებლად, კომუნისტთა მიერ გამოთქმული წინადადებების განსახორციელებლად.

ხასარგებლო პრაქტიკაა აგრეთვე საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე შემდგომი პარტიული კომიტეტების მუშაობის შესახებ ინფორმაციებით გამოსვლა. ეს ფორმა წელსაც უნდა გამოვიყენოთ.

განსაკუთრებული მნიშვნელობა და ყურადღება სჭირდება პარტიული ორგანიზაციათა ხელმძღვანელი კანდიდატურების შერჩევას. ამ მხრივ კომუნისტებმა უდიდესი პრინციპულობა და დაკვირვებულობა უნდა გამოიჩინონ და არ დაუშვან, რომ არჩევით პარტიულ ორგანოში მოხვდეს უღირსი ადამიანი, როგორც ამას, სამწუხაროდ, შარშან აქა-იქ მაინც ჰქონდა ადგილი.

ერთი სიტყვით, პირველადი პარტიული ორგანიზაციების ბიუროებთან და კომიტეტებთან ერთად, პარტიის საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა ყველაფერი უ-და იღონონ, რომ საანგარიშო და საარჩევნო პარტიული კრებები ყველგან ორგანიზებულად, მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე, ჭეშმარიტი გულახდილობისა და საქმიანობის ვითარებაში წარიმართოს.

საქართველო დამკვრელურ ვახეზე

შეჯიბრების მოწინავენი

ვადამდე, „ფრიადი“ შეფასებით!

კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის ბრძოლაში საბჭოთა მშენებლები მოწინავეთა რიგებში არიან. ამ საქმე ში თავიანთი ღირსეული წვლილი შეაქვთ საქართველოს მშენებლებსაც. ყველგან რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში გაჩაღებულია მშენებლობა. აი დედაქალაქის უდიდესი სამშენებლო მოედანი — გლდანის საცხოვრებელი მასივი. აქ მესამე მიკრორაიონის 68-ა კორპუსს წარმატებით აშენებს კომპლექსური ბრიგადა, რომელსაც კომუნისტი, შრომის წითელი დროშისა და „საპატიო ნიშნის“ ორდენების კავალერი ავთანდილ ალაბიშვილი ხელმძღვანელობს. ამ კორპუსის მშენებ ლობაზე ცვლის დავალებებს ბრიგადა 140-150 პროცენტით ასრულებს.

ეს ერთხულოვანი კოლექტივი დადგა სკკპ XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის შრომითს ვახტზე და გადაწყვეტა 81-ბინიანი სახლი საეკსპლოატაციოდ გადასცეს არა დეკემბერში, როგორც ამას გეგმა ითვალისწინებდა, არამედ სექტემბერში, თანაც „ფრიადზე“ შეფასებით.

სურათზე: კომპლექსური ბრიგადის წევრები (მარცხნიდან) — მემონტაჟე თ. მაზანაშვილი, დამხმარე მუშა ი. ნოვოსელცევი, ბრიგადირი ა. აღ ალიშვილი და მებეტონე ი. შიტიკოვი.

ვ. მორკუნოვის ფოტო. (საინფორმის ფოტოქრონიკა).

სად რამდენი მოიკრიფა

რთველია, რთველი!

3 სექტემბრისათვის რესპუბლიკაში მოკრეფილია 39.964 ტონა ყურძენი

გურჯაანის რაიონში 2 სექტემბერს მოიკრიფა 3.873 ტონა ყურძენი. მთლიანად კი მოკრეფილია 22.772 ტონა.

ყვარლის რაიონში გუშინწინ მოიკრიფა 1.500 ტონა ყურძენი, სულ მოკრეფილია 6.237 ტონა. **სიღნაღის** რაიონში ერთ დღეს მოკრიფეს 1.911 ტონა ყურძენი, სულ მოკრეფილია 5.332 ტონა. **წითელწყაროს** რაიონში სულ მოკრეფილია 2.500 ტონა, **თელავის** — 1.658 ტონა, **მარნეულის** რაიონში — 834 ტონა.

ლაგოდეხელმა მევენახეებმა სულ მოკრიფეს 161 ტონა, **მაიაკოვსკელებმა**. — 158 ტონა. **საგარეჯოელებმა** — 123 ტონა, **მცხეთელებმა** — 66 ტონა, **თერჯოლელებმა** — 61 ტონა, **ზესტაფონელებმა** — 57 ტონა.

სულ კახეთის რაიონებში მოკრეფილია 38.783 ტონა ყურძენი, მთლიანად რესპუბლიკაში კი 39.964 ტონა.

30.000 ტონა!

საუბარი პარტიის ყვარლის რაიკომის პირველ მდივანთან

გ. ძულიაშვილთან.

ყვარლის რაიონის საზოგადოებრივი მეურნეობების ზვრებში რთველა გაჩაღდა. თუ როგორ მიმდინარეობს ყურძნის კრეფა-ჩაბარება და რა საბრძოლო ამოცანა აქვთ დასახული მევენახეებს, ამის შესახებ პარტიის ყვარლის რაიკომის პირველმა მდივანმა გ. ძულიაშვილმა „კომუნისტის“ საკუთარ კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა:

მძიმე პირობებში უხდებოდათ წლეულს მუშაობა ჩვენს მევენახეებს. მაგრამ პარტიული ორგანიზაციები, კომუნისტები, ადგილობრივი საბჭოების დეპუტატები სათავეში ჩაუდგნენ სოფლის მშრომელებს, დარაზმეს ისინი სიძნელეთა გადასალახავად და კარგ შედეგსაც მიაღწიეს.

ვენახებში ნიადაგი კარგად დამუშავდა, ზხამქიმიკატებით ეაზის მეურნალობა და მწვანე ოპერაციები თავის დროზე განხორციელდა, მაქსიმალურად იქნა გამოყენებული სარწყავი წყალი. ამ საქმეში ყველან დიდ როლს ასრულებდა სოციალისტური შეჯიბრება და წამახალისებელი ღონისძიებები.

როგორც კი ყურძენი დამწიფდა, რთველს შეუდგებით. სასიხარულოა მევენახეთა შემართება. ყველა იმას ცდილობს, რომ რაც შეიძლება მალე და უდანაკარგოდ აიღოს მოსავალი.

რთველის პირველი დღეებიდანვე გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება გაზეთი „კომუნისტისა“ და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარდამავალი ვიმპელის მოპოვებისათვის.

ამ საპატიო ჯილდოს პირველი მფლობელი გახდა მთიანეთის სახელმწიფო სასეგრე მეურნეობა (დირექტორი კ. ბელაძე, პარტორგანიზაციის მდივანი თ. ველიჯანიშვილი), რომელმაც ყურძნის კრეფის ტემპის მიხედვით რაიონში პირველი ადგილი დაიკავა. ამ მეურნეობიდან ყველაზე კარგ შედეგს მიაღწია მეორე გვარეულმა (მმართველი შ. თეოდორაძე), რომელმაც გეგმით გათვალისწინებული 175 ტონის ნაცვლად უკვე 295 ტონა ყურძენი მიიწონა ღვინის ქარხანას.

მოწინავე კრეფაელები თინა მამეკაშვილი, ნინო ტალაშვილი, ლენა ანაბილაძე და სხვები დღეში 1.100-1.200 კილოგრამ ყურძენს კრეფენ, ორმა კი 350 კილოგრამზე.

რაიონის მევენახეებმა საბრძოლო ამოცანად დასახეს **მოკრიფონ და სახელმწიფოს მიჰყიდონ 30.000 ტონა ყურძენი.** ჩვენ ახლა ყოველდღიურად 1.500-1.600 ტონა ყურძენს ვაბარებთ სახელმწიფოს. მალე ამ ციფრს კიდევ უფრო გავზრდით და ყველა ღონისძიებას განვახორციელებთ იმისათვის, რომ რთველი 14 სამუშაო დღეში დავამთავროთ და პირნათლად შევასრულოთ პატრიოტული ვალდებულება — მივცეთ სამშობლოს 30.000 ტონა ყურძენი.

მეცხოველეობაზე—სკკპ XXV ყრილობის საპატიო

თივა, სენაჟი, სილოსი

წითელწყაროელ (საკ. კორ). წლეულს რაიონის მხვნელ-მთესველები, მექანიზატორები, მეცხოველეები მთელი მონდომებით იბრძვიან პირუტყვის საკვების წლინახევრის მარაგის დაგროვებისათვის. ამ მიზნით ბევრ კოლმეურნეობაში სპეციალური საკვებმომზადებელი ბრიგადები ჩამოყალიბდა.

კოლმეურნეობათა გამგეობებმა, პარტიულმა ორგანიზაციებმა ეს საქმე ყველაზე დამკვრელურ უბნად გამოაცხადეს. საწარმოო ბრიგადებს, რგოლებს, ცალკეთ მთიბავთა ჯგუფებს სათავეში ჩაუდგნენ კომუნისტები, კომკავშირელები და დიდძალი თივა, სენაჟი დამზადეს მინდვრად, ქარსაფარ ზოლებში, ტყეებსა და ტყისპირებში.

პირუტყვის საკვების დაგროვების საქმეს თავიდანვე კარგად მოპკიდეს ხელი ზემო მაჩხაანის, გამარჯვების, სამბათლოს და წითელწყაროს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობებში. მათ უკვე შეასრულეს უხვი საკვების დაგროვების გეგმა.

სილოსის დამზადების დავალება პირველებმა შეასრულეს სოფელ გამარჯვების და ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობებმა.

ამზადებენ, იმარაგებენ

ცხინვალი. (საკ. კორ. ბ. მილიუტინი). წლევანდელი ამინდი ხელს უწყობს საზოგადოებრივი პირუტყვისათვის საკმარი სხვადასხვა სახის საკვების მომარაგებას. საკვებმომზადებლებმა უკვე მოიპოვეს პირველი წარმატება — დამზადდა 2.000 ტონა სენაჟი. ჩქარი ტემპით მიმდინარეობს ბუნებრივი ბალახების თიბვის სამუშაოები. დაწინაურდნენ „რაიკოლმეურნეობის“, ლენინის, ზანის კოლმეურნეობები. საკვების დამზადება ჩქარი ტემპით მიმდინარეობს ძველი სენაჟის მეღორეობის საბჭოთა მეურნეობაში. აქ შეალედი სასოფლო-სამეურნეო კულტურები დათესილია 40 ჰექტარზე, ზვრიას დათესავენ 100 ჰექტარზე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას — „სკკპ XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის სოციალისტური შეჯიბრების შესახებ“ საქმით უპასუხებენ ძველსენაჟელი საკვებმომზადებლები ნ. არჩვაძე, თ. ჯანჯღავა, ტ. კუპრეიშვილი, ს. სახოკია; ხორშელები — გ. ჯალაღონია, შ. გაბელია, ო. და დ. კანკავები.

დღის წესრიგშია კიბერნეტიკის პრობლემები

3 სექტემბერს საქართველოს ფილარმონიის დიდ დარბაზში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა IV საერთაშორისო კონფერენცია ხელოვნური ინტელექტის საკითხებზე. კონფერენცია მოიწვიეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის კომპლექსური პრობლემის სამეცნიერო საბჭომ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტმა და ხელოვნური ინტელექტის საერთაშორისო გაერთიანებულმა საბჭომ.

კონფერენციის მუშაობაში მსოფლიოს 35 ქვეყნის — სოციალისტური ქვეყნების, დიდი ბრიტანეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, ვენეციის, იაპონიისა და სხვა ქვეყნების 500-ზე მეტი მეცნიერი და სპეციალისტი მონაწილეობს.

ექვსი დღის მანძილზე მეცნიერთა ამ წარმომადგენლობითი ფორუმის მონაწილენი განიხილავენ ხელოვნური ინტელექტის თეორიულ და ფილოსოფიურ ასპექტებს, ძიების მეთოდებს, ავტომატიზებული დაპროგრამების, ბუნებრივი ენისა და მეტყველების გაგების, ვიზუალური ინფორმაციის დამუშავების, რობოტების საშუალებით შრომის ნაყოფიერების გადიდების მეთოდების პრობლემებს და სხვა საკითხებს.

სამი წინა კონფერენცია ხელოვნური ინტელექტის საკითხებზე გაიმართა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისში. შემთხვევითი რიცხვია IV კონფერენციის თბილისში მოწვევის გადაწყვეტილება. იგი მოწმობს, რომ ქართველ კიბერნეტიკოსებს საბჭოთა კავშირის სხვა წამყვანი სამეცნიერო ცენტრების მეცნიერებთან ერთად მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ხელოვნური ინტელექტის პრობლემის შემუშავებაში.

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა საერთაშორისო საორგანიზაციო კომიტეტის გენერალური თავმჯდომარის მოადგილემ პროფესორმა პ. ვინსტონმა (ამერიკის შეერთებული შტატები).

კონფერენციის მონაწილეებს მიესალმა საერთაშორისო საორგანიზაციო კომიტეტის გენერალური თავმჯდომარე პროფესორი ვ. სანდუელი (შვეიცარია).

ეროვნული საორგანიზაციო კომიტეტის სახელით მონაწილეებს მიესალმა მისი თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტის დირექტორი, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ვ. ჭავჭანიძე.

სიტყვა ეძლევა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ო. ჩერქეზიას. იგი გულთბილად მიესალმა კიბერნეტიკოსთა ფორუმის მონაწილეებს საქართველოს სსრ მთავრობის სახელით.

ამმ. ჩერქეზიამ აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს თბილისში განსახილველ პრობლემებს — საბუნებოთა განვითარებას ხელოვნური ინტელექტის დარგში და კონფერენციის მონაწილეებს უსურვა ნაყოფიერი ნუშაობა, რათა კიდევ უფრო განამტკიცონ ფართო თანამშრომლობა, მიაღწიონ წარმატებებს მეცნიერულ საქმიანობაში.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტის გამოყენებითი მექანიკისა და მართვის პროცესების განყოფილების აკადემიკოს-მდივანმა ვ. მახალდიანმა.

IV საერთაშორისო გაერთიანებული კონფერენცია ხელოვნური ინტელექტის საკითხებზე განაგრძობს მუშაობას. (საქინფორმი).

პარტიული ცხოვრება

პარტიული შეხვედრების ორგანიზატორია

დიდმნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა ლენინის ორდენოსანი თბილისგვარამაშვილის მეხუთე საგვარაბო რაზმის № 23 შახტის პარტიული კოლექტივის ცხოვრებაში. 1 სექტემბერს გამართული შახტის პარტჯგუფის საყვარიმოსაარჩევნო კრების წინ კომუნისტური შრომის ბრიგადამ, რომელსაც კომუნისტი ი. გიგოლაური ხელმძღვანელობს, ვადამდე, გრაფიკზე ორი თვითა და შვიდი დღით ადრე დაამთავრა № 23 და № 24 შახტების შორის გადასარბენი გვირაბის აწყობა საბურთალოს ხაზზე.

საანგარიშო მოხსენებაში შახტის პარტჯგუფორგმა შ. მაჭარაშვილმა თქვა, რომ შახტის კოლექტივმა უკვე ივნისის დამლევისათვის შეასრულა თვისი ხუთწლიანი გეგმა, განვლილი 8 თვის მანძილზე საამშენებლო სამონტაჟო საეშაოთა მოცულობა თულადი გამოხატულებით რეალიზებულია 117 პროცენტით.

რამ განაპირობა მიღწეული წარმატებანი? ეს არის, უწინარეს ყოვლისა ფართოდ გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება XXV ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის, ამ საქმეში კომუნისტთა პირადი მაგალითის უზრუნველყოფა, სიიაფარო სამეურნეო ანგარიშის პროგრესული ზლობინისეული მეთოდის დანერგვა. სწორედ პარტიული ჯგუფის დახმარებით შახტში მოგვარდა მასობრივი კონტროლი ნაკლულ ვალდებულებათა შესრულებისადმი. შეჯიბრების ქმედითობის საკითხებს პერიოდულად იხილავენ პარტჯგუფის კრებებზე, ისმენენ სამეურნეო ხელმძღვანელთა ანგარიშებს, რიგით კომუნისტთა ინფორმაციებს მათ მიერ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების შესახებ.

ყოველივე ეს ნაყოფს იღებს. კომუნისტთა შორის არ არიან დისციპლინის დამრღვევნი და ისეთები, რომლებიც არ ასრულებენ საწარმოო დავალებებს. ისინი საქმით არიან მოწინავენი, მაგალითად, ი. გიგოლაური ბრიგადამ თვეში გაიარა 50 ჯერადი მეტრი გეგმით გათვალისწინებული 40 მეტრის ნაცვლად. გრაფიკის მნიშვნელოვანი გასწრებით შრომობს სწვეკ-სადგამელებელი ქვესადგურის შედასაგირაბო კონსტრუქციის დასამთავრებლად გ. კიწმარიშვილის კომპლექსური ბრიგადა. კომუნისტთა მაგალითს ბაძავენ უპარტიოები. მაგალითად, დასახულ ვადაზე ერთი თვით ადრე დაამთავრა სადგურ „პოლიტექნიკურის“ თაღის შეენგლობა მ. ბოპოხიძის ბრიგადამ.

კრების მონაწილეებმა აღნიშნეს მოპოვებული წარმატებანი და ამავე დროს გამოავლინეს ხარვეზები სამეურნეო საქმიანობასა და პარტიულ მუშაობაში. სინანულით ითქვა, რომ ახლა მოცდენები მექანიზმებისა და მოწყობილობის არაეფექტიანი გამოყენების გამო, ფერხდება ჰაერის მიწოდება კომპრესორული სადგურიდან. ჯერ კიდევ ყველა მუშას არა აქვს ჩაბარებული ყაირათიანად დამოკიდებულება საშინელ მასალებისადმი. მარკშეიდერმა ს. გალუსტოვმა თქვა, რომ უნდა გაუმკობესდეს კოლექტივში საავტაციო-მასობრივი და კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობა. მან აღნიშნა, რომ ზოგჯერ ჯერ კიდევ სრულად და ოპერატიულად არ იყენებენ მორალური და მატერიალური წახალისების ღონისძიებებს წარჩინებული მუშაკებისადმი. აღინიშნა აგრეთვე ხარვეზები შინაპარტიულ მუშაობაში, ის, რომ ნაკლებ ყურადღებას უთმობენ პარტიული რიგების ზრდის საკითხებს.

კრების მონაწილეებმა კმაყოფილება გამოუცხადეს შახტის მექანიკოსს შ. მაჭარაშვილს და იგი მესამედ აირჩიეს პარტიული ჯგუფის ხელმძღვანელად, სადაც გაერთიანებულია 32 კომუნისტი.

ანგარიშს აბარებს რეკომენდატორი

უჩვეულო იყო თბილისის დამიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის პარტიული კომიტეტის დღის წესრიგი. რადგანაც ერთ-ერთ კომუნისტმა რ. სარაბეკოვმა ილაპარაკა, თუ როგორ ზრდის ახალგაზრდა მუშას დემურ მაზმიშვილს, რომელსაც სკკპ წევრობის კანდიდატად მიღების რეკომენდაცია მისცა, რეკომენდატორი მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით ადევნებს თვალს თავისი აღსაზრდილის საწარმოო და პოლიტიკურ ზრდას. ეგი ახალგაზრდა ელექტრომონტაჟეს დაეხმარა ოსტატობის საიდუმლოების დაუფლებაში.

პარტიულმა კომიტეტმა ურჩია ყველა კომუნისტს მიბაძონ რ. სარაბეკოვის გამოცდილებას.

ახალგაზრდა კომუნისტთა პოლიტიკური წრთობა და აღზრდა ქარხნის პარტიულ ორგანიზაციას თავის უპირველეს ამოცანად მიაჩნია. აღზრდის ბევრი ფორმა და მეთოდი არსებობს. ეს არის კვალიფიციური დახმარებაც პროფესიის ათვისებაში, ახალგაზრდა კომუნისტთა ფართოდ ჩაბმა კომუნისტური შრომისათვის შეჯიბრებაში, კადრის მუშაკთა ინდივიდუალური დახმარება.

პარტიული ორგანოების ანგარიშგებაარჩევნები

□

რდა მასობრივი კონტროლი ნაკლულ ვალდებულებათა შესრულებისადმი. შეჯიბრების ქმედითობის საკითხებს პერიოდულად იხილავენ პარტჯგუფის კრებებზე, ისმენენ სამეურნეო ხელმძღვანელთა ანგარიშებს, რიგით კომუნისტთა ინფორმაციებს მათ მიერ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების შესახებ.

ყოველივე ეს ნაყოფს იღებს. კომუნისტთა შორის არ არიან დისციპლინის დამრღვევნი და ისეთები, რომლებიც არ ასრულებენ საწარმოო დავალებებს. ისინი საქმით არიან მოწინავენი, მაგალითად, ი. გიგოლაურის ბრიგადამ თვეში გაიარა 50 ჯერადი მეტრი გეგმით გათვალისწინებული 40 მეტრის ნაცვლად. გრაფიკის მნიშვნელოვანი გასწრებით შრომობს სწვეკ-სადგამელებელი ქვესადგურის შედასაგირაბო კონსტრუქციის დასამთავრებლად გ. კიწმარიშვილის კომპლექსური ბრიგადა. კომუნისტთა მაგალითს ბაძავენ უპარტიოები. მაგალითად, დასახულ ვადაზე ერთი თვით ადრე დაამთავრა სადგურ

ანგარიშს აბარებს რეკომენდატორი

პარტიის კანდიდატებთან მუშაობის ყველაზე ქმედითი ფორმაა ახალგაზრდა კომუნისტთა სკოლა, როშელსაც ხელმძღვანელობს ინჟინერი პეტრე სკუბაკი. სკოლაში სწავლობენ პარტიის წესდებასა და პროგრამას, პარტიული მშენებლობის საკითხებს. მარტო ამ ბოლო ხანს მსმენელთათვის წაიკითხეს ლექციები: „კარლ მარქსი — რევოლუციური პროლეტარიატის უდიდესი თეორეტიკოსი და ბელადი“, „ლენინი — მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადი და მასწავლებელი“, „კომუნისტური მორალი“ და სხვ.

ახალგაზრდა კომუნისტებს დაახსომდათ შეხვედრა ძველ ბოლშევიკთან, 1918 წლიდან პარტიის წევრთან მ. კოლბასინთან, რომელმაც მრავალი წელი იმუშავა ქარხანაში. მან ილაპარაკა სახელოვან შრომითს ტრადიციებზე, თაობათა შემკვიდრეობითობაზე. ახლახან ქარხანაში გაიმართა თეორიული კონფერენცია თემაზე: „ახალგაზრდობის შესახებ ლენინის ანდერძის შესრულება“, კონფერენციის აქტიური მონაწილეები „პოლიტექნიკურის“ თაღის შენგლობა მ. ბოპოხიძის ბრიგადამ.

კრების მონაწილეებმა აღნიშნეს მოპოვებული წარმატებანი და ამავე დროს გამოავლინეს ხარვეზები სამეურნეო საქმიანობასა და პარტიულ მუშაობაში. სინანულით ითქვა, რომ ახლა მოცდენები მექანიზმებისა და მოწყობილობის არაეფექტიანი გამოყენების გამო, ფერხდება ჰაერის მიწოდება კომპრესორული სადგურიდან. ჯერ კიდევ ყველა მუშას არა აქვს ჩაბარებული ყაირათიანად დამოკიდებულება საშინელ მასალებისადმი. მარკშეიდერმა ს. გალუსტოვმა თქვა, რომ უნდა გაუმკობესდეს კოლექტივში საავტაციო-მასობრივი და კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობა. მან აღნიშნა, რომ ზოგჯერ ჯერ კიდევ სრულად და ოპერატიულად არ იყენებენ მორალური და მატერიალური წახალისების ღონისძიებებს წარჩინებული მუშაკებისადმი. აღინიშნა აგრეთვე ხარვეზები შინაპარტიულ მუშაობაში, ის, რომ ნაკლებ ყურადღებას უთმობენ პარტიული რიგების ზრდის საკითხებს.

კრების მონაწილეებმა კმაყოფილება გამოუცხადეს შახტის მექანიკოსს შ. მაჭარაშვილს და იგი მესამედ აირჩიეს პარტიული ჯგუფის ხელმძღვანელად, სადაც გაერთიანებულია 32 კომუნისტი.

სახალხო კონტროლის მუშაკთა თათბირზე

ქუთაისი, (საქინფორმის კორ.). აქ გაიმართა სახალხო კონტროლის მუშაკთა ზონალური თათბირი, რომლის მუშაობაში მონაწილეობდნენ რაიონებისა და ქალაქების სახალხო კონტროლის კომიტეტების თავმჯდომარენი, ინსპექტორები, პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების საორგანიზაციო განყოფილებათა გამგეები, აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოების ხელმძღვანელი მუშაკები.

ზონალური თათბირი შესავალი სიტყვით გახსნა სახალხო კონტროლის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ ო. მელქაძემ.

თათბირზე გაწეული მუშაობის შესახებ ინფორმაცია გააკეთეს ქალაქ ტყიბულის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარემ ჯ. კუბლაშვილმა და მესტიის რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარემ ტ. ხვისტანმა.

თათბირის მონაწილეებს მუშაობის გამოცდილება გაუზიარეს ჭიათურის სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარემ ჯ. გურულმა, ონის სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარემ ვ. ჯაფარიძემ, ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარემ დ. ლოლაძემ და სხვებმა.

დაჯილდოება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1975 წლის 2 სექტემბრის ბრძანებულებით საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამამუშავებელი მრეწველობის სამინისტროს განყოფილების უფროსი ამხ. **ალექსანდრე მელიტონის-ძე ფირცხალავა** საქართველოს ხე-ტყისა და ხის დამამუშავებელი მრეწველობის სისტემაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდაათ წლთან დაკავშირებით დაჯილდოდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სამადლობელი.

გამოუყენებელი რეზერვები მთავრობამ

□ მეტი ყურადღება ამ მოვლენისადმი □ ჩვენი წინადადებანი, გადასაწყვეტი პრობლემები

საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა მოითხოვს ამ დარგის თანამედროვე მდგომარეობის საფუძვლიან შესწავლას, მისი რენტაბელობის დონის დადგენას, გამოუყენებელი რეზერვების გამოვლენების საფუძველზე ქმედითი ღონისძიებათა დასახვას.

მაღაროსკარის კოლმეურნეობის მუშაობის ანალიზი გვიჩვენებს, რომ პირუტყვის სიმჭიდროვის, მეცხოველეობის საკვები ბაზით უზრუნველყოფის, პროდუქტიულობის ზრდის, ნაპრავლის გაზრდისა და შრომატევადობის სამუშაოთა ნეტანიზაციის თანამედროვე დონის პირობები მკვეთრ გარდაქმნას, ძირეულ რეკონსტრუქციას მოითხოვს.

კოლმეურნეობის შემოსავლის მთავარი წყაროა მეცხოველეობა. ამ დარგს დიდი ყურადღებითაც ეკიდებიან. ამიტომ არის, რომ ყოველთვის გადაჭარბებით ვასრულებთ ვალდებულებებს, ყოველწლიურად ვზრდით პროდუქტიულობას. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში კოლმეურნეობას ჰყავდა 2.315 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, 415 სულით მეტი გეგმასთან შედარებით, 657 სული ძროხა, გეგმაზე 42 სულით მეტი, 400 სულის ნაცვლად 796 სული ღორი, 14.900 სული ცხვრის ნაცვლად 21,714 სული თხა და ცხვარი.

შარშან ყოველ 100 ნერბზე მივიღეთ 85 ტატანი, ყოველ 100 ძროხაზე 87 ხბო, თვითეული ძროხაზე მოვწველეთ 980 კილოგრამი რძე. ყოველ მზზრდილ ცხვარზე გავპარსეთ 2,6 კილოგრამი მატყლი.

მიუხედავად ამისა, მექანიზაციისა და შრომის ნაყოფიერების ამლანდელ პირობებში დანახარჯები ხორცის, რძისა და მატყლის წარმოებაზე საკმაოდ მაღალია. შარშან, მაგალითად, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ცენტნერი ხორცის წარმოებაზე კოლმეურნეობამ 192,02 მანეთი დახარჯა, სახელმწიფოს კი 124,48 მანეთად მივყიდეთ. ერთი ცენტნერი ღორის ხორცის წარმოება 170,1 მანეთი დაგვიჯდა, მაშინ როცა სახელმწიფო შესყიდვის ფასი 146,32 მანეთია, სამაგიეროდ მნიშვნელოვანი თანხები ბოგეგეთ ცხვრის ხორცის რეალიზაციით, რაც კოლმეურნეობას გაცილებით იაფი ჯდება. ცენტნერი ცხვრის ხორცი კოლმეურნეობას 84 მანეთი დაუჯდა, სახელმწიფომ კი 107 მანეთი გადაგვიხადა.

კოლმეურნეობაში მეცხოველეობა მომგებიანი დარგია. შარშან მეცხოველეობიდან შემოსავალმა 718.257 მანეთი შეადგინა, მაგრამ თუ გამოუყენებელ რეზერვებს მეცხოველეობის განვითარების საამსახურში ჩავაყენებთ, კოლმეურნეობის შემოსავალი ერთეთორად გადიდდება. საქმე ის არის, რომ **ადგილზე ვერ ვამზადებთ პირუტყვისათვის სამყოფ საკვებს და ყოველწლიურად სხვა რაიონებიდან შემოგვაქვს 250-300 ტონა ნამჯა, რაშიც სულ ცოტა 30 ათას მანეთს ვხარჯავთ.** ამას თან ერთვება ტრანსპორტის ხარჯები, იხარჯება სულ ცოტა 600-700 ათასდე.

ეს მაშინ, როცა **ფშავ-ხევსურეთის ნოყიერი მალახით მდიდარი მთების დიდი ნაწილი გამოუყენებელი გვრჩება. ამის ძირითადი მიზეზი უგზობაა.** უგზოობის გამო ვერ ვიძთვისებთ უხვბალახიან უყანატბის მთას, რომელიც საოცარი სიაფით საძოვარია და წყლით მდიდარი.

ავიღოთ დიყელის მთა, რომელის ათვისებითაც კოლმეურნეობა ყოველწლიურად სულ ცოტა 80-100 ათასი მანეთი შემოსავალს მიიღებდა. ამაგრამ უგზოობის გამო ვერ ვიყენებთ, დამზადებულ თივას ვერ ვამოვიტანთ, წარმოებულ პროდუქციას ვერ ვამოვზიდავთ. კოლმეურნეობას საკუთარი სახსრებით მთაში გზის გაყვანა არ ძალუძს, თუ სათანადო ორგანოებმა ამ საქმეში საჭირო დახმარება არ გაგვიწიეს.

კოლმეურნეობაში პირუტყვის სიმჭიდროვე მთელი სულადობის კონცენტრაციის საშუალებას არ გვაძლევს, **არ გვყოფნის სადგომი ბინები.** რის გამოც იძულებული ვხდებით მოზარდი პირუტყვის ნაწილი — 800 სული **კოლმეურნეებს ინდივიდუალურად მივამაგრით.** ამას კი თავისი უარყოფითი მხარეები აქვს. ნაკლებია კონტროლი, ადგილი აქვს მაღალი ნაკვებობისა და დიდი წონის პირუტყვის ნაკლებად კონდიციური და დაბალი წონის პირუტყვზე გადაცვლის თვალსაჩინო ფაქტებს. ეფექტურობა, ხელსურეთში, კერძოდ, **შატილში უახლოეს პერიოდში ავაშენოთ 100-150 სულის ტევადობის პირუტყვის** სადგომი ბინა, რაც დაასაქმებს ადგილობრივ მოსახლეობას, ადგილზე დავამზადებთ საკმარის საკვებს.

საკვების დამზადების ორგანიზაციაში, მუშახელის დასაქმებაში კოლმეურნეობას ნაკლებ დახმარებას უწევენ **უკანატუშავის, ბარისახოს, გუდანისა და შატილის სასოფლო საბჭოები.** უფრო მეტი: ხევსურეთის სოფლებში **სატეო მეურნეობას დაავალებენ აქვს საუკეთესო სათიბი ადგილები,** რომლებსაც ბარისახოს სატეო უბნის მესვეურები ადგილობრივ მოსახლეობას სანახვრეროდ ათიბინებენ. საქმისთვის სასარგებლო იქნება, თუ ამ სათიბებზე მიღებული საკვებით კოლმეურნეობა ისარგებლებდა. ათვისებული **სათიბ-საძოვრებიც ზედაპირულ გაუმჯობესებას საჭიროებს.** კარგი იქნება, თუ ჩვენი ახალგაზრდობა, რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტობა ამ საქმეს ხელი აიღებს და ჩვენს სვეარგულებს გაწმენდს ქვა-ღორღისა და მაგნე მეცნარეებისაგან.

საჭიროა ყიზლარის საზამთრო საძოვრების **ხელახალი გადანაწილება.** კოლმეურნეობას ესპინისპირეთში **არა აქვს სათიბი ფართობი.** ზღვისპირეთში სათიბად ვარგისი ტერიტორია ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ გადათხრილი.

უკანასკნელი წლების განმავლობაში მთის ზონის კოლმეურნეობებმა რატომღაც **უგულვებელყვეს სიმინდის თესვა,** კარტოფილის რგვა. დანერგილი არ არის ერთწლიანი და მრავალწლიანი ბაკვები კულტურებს თესვა, ხილოსანი და ენაყეს მოსი **იშვიათად ამზადებენ.** 1976 წლის 10 ჰექტარზე დავთესავთ სიმინდს, 2 ჰექტარზე ჯარტოფილს, რითაც კიდევ უფრო გაზრდით საკვების მარაგს.

წლეულს მთის ბალახისაგან დავამზადებთ 100 ტონა სენაჟს. ამ საქმეში დიდი დახმარება გაგვიწია ბეგნმა შოთა — ყინვალის ჰიდროტექნიკური კომპლექსის მშენებლობის სამმართველოს, რომელიც კოლმეურნეობას დაეხმარა 200 ტონა ტიტიდობის სენაჟე ორმოს მშენებლობაში. კარგი იქნება, თუ ანალოგიურ მშენებლობა **თიოსნობა ხათანდგამობმაურებას ჰპოვებს სხვა საშეფო ორგანიზაციებშიც.**

მომდინარე წლის დამლევისათვის შარტილში შეიქმნით მეთხეთის ფერმას, რომელიც ზამთარ-ზაფხულ ადგილზე ვამოვეგზავნა.

მაღაროსკარელმა მეცხოველეებმა ახალი ენერგიით გაიჩაღეს შრომა პარტიის XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის. დასახული ახალი ღონისძიებებს განხორციელება მეცხოველეების ოჯახურად ომიანობის საწინდარი იქნება.

ლ. უძილაური,
დუშეთის რაიონის მაღაროსკარის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

ხალხის კეთილდღეობისათვის, კომუნიზმის გამარჯვებისათვის

გამოვიდა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვებისა და ეროსნოვანეთის ოლქზეული ძრეგელ „თანამედროვე ეტაპზე სკკპ ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი საკითხების შესახებ“

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოსათვის, გვიანდერძა ვ. ი. ლენინმა, მთავარი პოლიტიკა, რომლის წარმატებებზე მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ჩვენი საზოგადოების წინსვლა კომუნიზმისაკენ და სსრ კავშირის საერთაშორისო პოზიციების განმტკიცება, — ეს არის ეკონომიკა. რომლის ფორმირების ანალიზი ეკონომიკური განვითარების საკითხები პარტიის თეორიული და პრაქტიკული საქმიანობის უმნიშვნელოვანესი მიმართულება, ისინი პარტიული ყრილობების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების ყურადღების ცენტრშია, ამ საკითხებზე დღეიდან მუშაობს ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო.

პარტიის ეკონომიური პოლიტიკის დასაბუთება და შემუშავება, მისი განხორციელების გზების გამოძებნა და კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისადმი ხელმძღვანელობის დაგრეგი გამოცდილების განზოგადება — ასეთია მთავარი შინაარსი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვების და გამოსვლების ორტომეული კრებულისა „თანამედროვე ეტაპზე სკკპ ეკონომიური პოლიტიკის ძირითადი საკითხების შესახებ“, რომელიც პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ გამოუშვა. კრებულში მთლიანად ან ნაწილობრივ შეტანილია 1964-1975 წლების უკვე ცნობილი სიტყვები, სტატიები და მოხსენებები, რომლებიც შეიცავენ გამონათქვამებს სამეურნეო მშენებლობის ძირეულ საკითხებზე. პირველად გამოქვეყნდა მასალები ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვებიდან, რომლებიც მან წარმოთქვა ცენტრალური კომიტეტის პლენუმებზე, სადაც განიხილეს ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების წლიური გეგმებისა და სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტები. ერთად შეკრებილი ეს შრომები ყოველმხრივ და სრულად ასახავენ პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის მიზანდასახულ და ნაყოფიერ საქმიანობას სახალხო მეურნეობის მართვისათვის, ქვეყნის ეკონომიური და თავდაცვითი ძალიერების განმტკიცებისათვის, კომუნისტური მშენებლობის ხელმძღვანელობისათვის.

ორტომეული „თანამედროვე ეტაპზე სკკპ ეკონომიური პოლიტიკის ძირითადი საკითხების შესახებ“ დამაჯერებლად გვიჩვენებს კომუნისტური პარტიის ჭეშმარიტად მეცნიერულ მიდგომას რეალურ ეკონომიურ თეორიისა და პრაქტიკის განვითარებისადმი თანამედროვეობის ამოცანებისა და პირობების შესაბამისად. ცხადყოფს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ღრმა ანალიზი, „ეკონომიური პოლიტიკის ძირითადი საკითხების შესახებ“, რომელიც პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ გამოუშვა. კრებულში მთლიანად ან ნაწილობრივ შეტანილია 1964-1975 წლების უკვე ცნობილი სიტყვები, სტატიები და მოხსენებები, რომლებიც ეძღვნებიან ეროვნული ეკონომიკის, ეროვნული შემოსავლის, ძირითადი ფონდების, ინვესტიციების, ფასების, ფულადი ბრუნვის, ფინანსებისა და ბანკების, ეროვნული ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლებისა და ეფექტიანობის ეკონომიკური ბერკეტების, ეროვნული ეკონომიკის ინტენსიფიკაციისა, ეროვნული ეკონომიკის ინტენსიფიკაციისა, ეროვნული ეკონომიკის ინტენსიფიკაციისა

3 სექტემბერი

ამბები • ფაქტები

საკვლევი და ეცხოვრების ჯრუნის სააგენტოები იტყობინებიან

მსოფლიო დღეს

გულითადი საუბარი

საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია ჰანოიში

ჰანოი, (საკდესის სპეც. კორ.). აქ საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია შეხვდა ლაოსელი ხალხის დელეგაციას ლაოსის პატრიოტული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის, ლაოსის ეროვნული პოლიტიკური კოალიციური საბჭოს თავმჯდომარის სუფანუვონგის მეთაურობით.

ლაოსის დელეგაციამ დიდი მადლობა გადაუხადა საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა მთავრობასა და მთელ საბჭოთა ხალხს, პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ლ. ი. ბრეჟნევს, ესოდენ ეფექტიან და უანგარო დახმარებას და მხარდაჭერას, რომ უწევენ ლაოსელი ხალხის თავდადებულ ბრძოლას — არ იშურებენ ძალ-ღონეს საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების საქმეში.

საუბარი მიმდინარეობდა გულთბილ, გულოთად ატმოსფეროში.

დარბაზობა ჰანოიში

ჰანოი, (საკდესის სპეც. კორ.). ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული კრების მუდმივმა კომიტეტმა, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ და ვიეტნამის სამამულო ფრონტის ცენტრალურმა კომიტეტმა ჰანოიში პრეზიდენტის სასახლეში საზეიმო დარბაზობა გამართეს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის 30 წლისთავის გამო.

დარბაზობაზე იყვნენ რესპუბლიკის ხელმძღვანელები, სოციალისტური ქვეყნების, მოძმე პარტიების, საერთაშორისო დემოკრატიული ორგანიზაციების დელეგაციათა წევრები, რომლებიც ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის იუბილეს ზეიმზე ჩამოვიდნენ.

ვითარება პორტუგალიაში

□ პრემიერ-მინისტრის გამოსვლა

□ პორტუგალიის კომპარტიის განცხადება

ლისაბონი. (საკდესი). პორტუგალიის ახალმა პრემიერ-მინისტრმა ადმირალმა პინეირო დი აზევედომ ტელევიზიით გამოსვლისას განაცხადა, რომ მისი სტრატეგიული ხაზია ეროვნული ერთიანობისა და ეროვნული დამოუკიდებლობის მთავრობის შექმნის კურსი. პრემიერ-მინისტრმა დასძინა, რომ ქვეყნის სამმა ძირითადმა პარტიამ — სოციალისტურმა, სახალხო-დემოკრატიულმა და კომუნისტურმა— უნდა გამოიქმნონ ერთობლივი პლატფორმა, რომელიც უზრუნველყოფს მთავრობის ხელმძღვანელობას, აგრეთვე მოიწვევენ მთავრობის პროგრამა, ეროვნული

სოდაც შეუძლებელია ქვეყნის მართვა.

პინეირუ დი აზევედუმ ხაზი გაუსვა, რომ ახალი მთავრობის უპირველესი ამოცანა იქნება ქვეყანაში, განსაკუთრებით მის ჩრდილოეთ რაიონებში შვიდობის, სიმშვიდისა და წესრიგის აღდგენა. მან მოიწონა შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის პოსტზე გენერალ ვასკუ გონსალვეშის დანიშვნა და გამოთქვა აზრი, რომ ახალ პოსტზე ვასკუ გონსალვეში შეძლებს განამტკიცოს შეიარაღებული ძალების ერთიანობა.

ლისაბონი. (საკდესი). პორტუგალიის კომპარტიის ინფორმაციისა და პროპაგანდის განყოფილებამ გამოაქვეყნა განცხადება პორტუგალიის კომპარტიის ურთიერთობის შესახებ იმ ორგანიზაციებთან, რომლებიც შედგან 25 აგვისტოს შექმნილ მემარცხენე ძალების დროებით სამდივნოში.

განცხადებაში ნათქვამია, რომ სამდივნოში შემავალმა ხუთმა ორგანიზაციამ ისარგებლა აზრთა პირველივე სხვადასხვაობით იმისათვის, რომ საჯარო კამპანია დაეწყო პორტუგალიის კომპარტიის წინააღმდეგ. ამიტომ პორტუგალიის კომპარტიის წარმომადგენლებმა დატოვეს გაერთიანებული სამდივნოს სხდომა.

ბოლივია

ბ. ბანზერი

ლა პაზში ჩამოვიდა ბ. ბანზერ ურანეიგა, ბოლივიის ყოფილი ელჩი ბრაზილიაში,

უცხოელი მეცნიერები საქართველოში

საქართველოში ჩამოვიდა საზღვარგარეთელ მეცნიერთა და სპეციალისტთა ჯგუფი, რომლებიც მონაწილეობდნენ მოსკოვში მეცნარეთა დაცვისადმი მიძღვნილი მე-8 საერთაშორისო კონგრესის მუშაობაში.

ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, საფრანგეთის, პოლონეთის, ნიდერლანდის, უნგრეთის, რუმინეთის ბიოლოგები, ენტომოლოგები, ფიტოპათოლოგები, ტოქსიკოლოგები რამდენიმე დღის განმავლობაში ეცნობოდნენ რესპუბლიკის. ისინი იყვნენ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, შეხვდნენ მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერებს.

კონგრესის მონაწილენი იყვნენ სოხუმში, კოხორის მეცეტრუსეობის საბჭოთა მეურნეობასა და ბებნისის სანერგე მეურნეობაში.

— მოსკოვის კონგრესზე, თქვა ევროპისა და ხმელთაშუა ზღვის მეცნარეთა დაცვის ორგანიზაციის წარმომადგენელმა, ცნობილმა ფრანგმა მეცნიერმა გ. მატისმ, — ყველა მონაწილის ყურადღება მიიპყრეს ქართველი მეცნიერების ი. ბატაშვილის, გ. გეგეჭკორის, ნ. გაფრინდაშვილის, ვ. ჯაფის, კ. თარგამაძის, ი. შავლიაშვილის, ა. მუხაშავრიის გამოსვლებმა. თქვენმა სპეციალისტებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს სოფლის მეურნეობის კულტურებისა და ტყის მავნებლების წინააღმდეგ ბიოლოგიური და ინტეგრირებული ბრძოლის, მავნებლებისა და ავადმყოფობისაგან ჩაის პლანტაციების დაცვის სისტემის შემუშავების საკითხებში. ჩვენ ბევრი რამის სწავლა შეგვიძლია მათგან.

რესპუბლიკის სტუმრები გაეცნენ თბილისის ღირსშესანიშნაობებს, იყვნენ მცხეთაში და გორში. (საქინფორმი).

ექსკურსია პოლონურ წიგნთან

გამოფენა გაიხსნა „სკუნჯეში“

გუშინ 3 სექტემბერს მაღაზია „საუნჯეში“ გაიხსნა პოლონური წიგნის დღეადა. აქვე მოეწყო პოლიტიკური, სამეცნიერო-პოპულარული, მხატვრული ლიტერატურის, სახელმძღვანელოების, ცნობარების, ალბომების სხვადასხვა გამოცემათა გამოფენა-გაყიდვა. საგამოფენო სტენდებზე წარმოდგენილია 100-ზე მეტი დასახელების წიგნები, რომლებიც გამოუშვა პოლონეთის ოცდაათმა გამომცემლობამ. პოლონური წიგნის დღეადა ეძღვნება ორ ღირსშესანიშნავ მოვლენას — სსრ კავშირსა და პოლონეთს შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების დადების 30-ე წლისთავს და გერმანიის ფაშიზმზე საბჭოთა ხალხის გამარჯვების 30-წლისთავს.

გაიმართა დღეადის საზეიმო გახსნა, რომელზეც მეიკრიბნენ წიგნის მრავალრიცხოვანი მოყვარულნი, ქალაქის სტუმრები, თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტის სტუდენტთა ჯგუფი, რომლებიც პოლონურ ენას სწავლობენ. დღეადის გახსნის ცერემონიას ესწრებოდნენ პოლონელი სტუმრები.

— პოლონური წიგნის დღეადა მნიშვნელოვანი მოვლენაა თბილისის კულტურულ ცხოვრებაში, — თქვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობების, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ა. კალმახელიძემ.— სტენდებზე მარტო პოლონური წიგნები როდია წარმოდგენილი. ჩვენ პოლონელ მეგობრებს მოვუმზადეთ სასიამოვნო სიურპრიზი — პოლონელი ავტორების ნაწარმოებთა ქართული თარგმანები და წიგნები პოლონეთის შესახებ. პოლონეთისადმი მიძღვნილი ქართული წიგნების, პოლონური წიგნებისა და პოლონელ ავტორთა თარგმანების დიდი გამოფენა გაიხსნა კ. მარქსის სახელობის სახელმწიფო რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში.

პოლონელმა მეგობრებმა თან ჩამოიტანეს პოლონურ ენაზე თარგმნილი ქართველ მწერალთა რამდენიმე ნაწარმოები. მათ შორის არის გრიგოლ აბაშიძის რომანი „დიდი დამე“.

შეკრებილთა წინაშე გამოვიდნენ წიგნის მოყვარულთა საკავშირო საზოგადოების (ინტერესიერი გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ა. კოსტაკოვი, საბჭოთა კავშირ-პოლონეთის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების პასუხისმგებელი მდივანი კ. კარდენახიშვილი, თბილისის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტი ს. რავინი, კ. მარქსის სახელობის სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე ს. მეფფარშვილი, საქართველოს კომკავშირის სახალხოს პრემიის ლაურეატი პოეტი მ. ფფიქიშვილი.

დასასრულ გამოვიდა პოლონელი სტუმარი ალისია ოსინი, რომელმაც მადლობა გადაუხადა დამსწრეთ და მცირე სახით ყვიელა თბილისელს დიდი ყურადღებისა და ინტერესისათვის, რომელსაც პოლონური წიგნისადმი იჩენენ. (საქინფორმი).

* * *

სურათზე: დამთვალიერებლები. გამოფენის ერთ-ერთ კუთხესთან.

მ. სანაიას ფოტო.

დედაქალაქის საბანაკრებლო აფიშა

მეგობროგის თეატრი

დღეს 4 სექტემბერს ხეზონს ხსნის საქართველოს თეატრალური საზოგადოების „მეგობრობის თეატრი“. ამჯერად ჩვენი სტუმარია ქ. ტალინის ვ. კინგისეპის სახელობის დრამის სახელმწიფო აკადემიური თეატრი, რომელიც თბილისს რუსთაველის სახელობის თეატრის სცენაზე თავის რა სპექტაკლს გვიჩვენებს. 4 და 5 სექტემბერს წარმოდგენილი იქნება იუხან სმუულის დრამა „ლეა“, ხოლო 6 და 7 სექტემბერს — პერმან ბარის კომედია „მამაკაცი, ქალი და კონცერტი“.

თეატრის მთავარი რეჟისორია ესტონეთის სსრ სახალხო არტისტი ვ. პანსო. სპექტაკლებში პონაწილეობენ სსრ კავშირის სახალხო არტისტი ა. ტალვი, ესტონეთის სსრ სახალხო არისტები ხ. რეეკი, ი. ეევერი, დამსახურებული არტისტები მ. კლოორენი, ტ. ათვი და სხვები.

ბალეტის საღამო

საქართველოს ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზის სცენა 4, 6, 8 და 10-სექტემბერს დაეთმობა ლენინგრადის ს. კიროვის სახელობის სახელმწიფო აკადემიური ბალეტის სოლისტს, ბალეტის მსახიობთა საკავშირო კონკურსის ლაურეატს ვალენტინა განიბალოვას. მასთან ერთად გამოვლენ ნ. პავლოვა, ა. სტოფანის, ე. შერბაკოვი, რ. ამდიევი, ს. ფედიანინი.

„ბალეტის საღამოს“ საგანყოფილებიან პროგრამაშია კ. გოლეიზოვსკის რჩეული ფორეიერაფიული ნომრები, მინკუსის პა-დე-დე „დონ-კიხოტიდან“, დრიგოს არლეკინადა, ფრაგმენტი ადამის „ჟიზელის“ მე-2 აქტიდან და რაველის ბოლერო. კონცერტმაისტერია ჯ. ოხრემა.

სურათზე: ცეკვავს ვალენტინა განიბალოვა.

ელექტრონული პედაგოგები

ლენინგრადი. (საკდესის კორ. ნ. კონსტანტინოვი). ტრადიციულ გამოძახებას „დაფასთან“ ვერ გაიგონებდით დღეს, ისევე როგორც ვეღარ გაიგონებთ მომავალში „მოსწავლეთა ცოდნის ოპერატიული კონტროლის ახალი მოწყობილობით“ აღჭურვილ ლენინგრადის სასკოლო კლასებში. ქალაქის ბევრი სკოლის მასწავლებელთა მაგიდებზე აინთო „ელექტრონული პედაგოგების“ შუქტაბლოები, რომელიც შექმნეს უმაღლესი სასწავლებლების მეცნიერებმა და მათ საწარეოულად უშვებს ლენინგრადის საცდელი ელექტროტექნიკური ქარხანა.

„ლენინგრადეცი-1“ მოწყობილობა განაზოგადებს ამჟვარი ბპრაგტარის შექმნის მრავალი წლის გამოცდილებას. ეს ბრის მერხებზე მინიატურულ საკნოპე სისტემებთან შეერთებული მასწავლებლის პულტი (პორტატული საბეჭდი მანქანის ზომისა). გაისმის კითხვა, — და მთელი კლასი ერთდროულად უპასუხებს... სრულ სიჩუმეში. სწორ პასუხებსა და შეცდომებს აღნიშნავენ შუქმანიულსები პედაგოგის მაგიდასთან.

ოლიმპიელთა ფრე

გუშინ მოსკოვში ვ. ი. ულენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა სსრ კავშირის ოლიმპიური და გერმანიის შეიარაღებული ძალების მოკრატული რესპუბლიკური ფეხბურთელების ამხანაგური მატჩი.

შეხვედრას ორივე გუნდისათვის გენერალური რეპეტიციის მნიშვნელობა ჰქონდა ოლიმპიური ტურნირის განმეორებითი შესარჩევი მატჩების წინ.

ადრე-ის ნაკრებში (უფროსი მწერთნელი გეორგ ბუშნერი) თამაშობდნენ ისეთი აღიარებული ფეხბურთელები, როგორიც არიან ფოგელი, ჰოფმანი, შტრაიხი, შბარეასერი, კროო...

დაძაბული, საინტერესო თამაში დამთავრდა ფრედ — 0:0.

საბჭოთა ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა კ. ბესკოვმა ამ მატჩზე ასეთი შემადგენლობა გამოიყვანა: პროხოროვი, უტკინი, ნიკულინი, ოსიანინი, ლოვჩევი, მაქსიმენკოვი, გლადილინი (ფილატოვი), მინაევი, სახაროვი, ჩესნოკოვი, ფიოდოროვი.

„ჟოლგა“ სტადიონისათვის

ვინც კი მიუხვეხენი იყო, უთუოდ დიდხანს ეხსომება ოლიმპიური სტადიონის ორიგინალური არქიტექტურისა და კონსტრუქციის სახურავი. მაგრამ მას მალე მეტოქე გაუჩნდება ოკეანეს გაღმა, ოლიმპიურ მონრეალში.

მომავალი ოლიმპიადის ქალაქის მთავარ სტადიონზე მოთავსდება დიდი ქოლგის ფორმის სახურავი. ამ მსუბუქი კონსტრუქციის გამაროვანი სტადიონის სარბიელზე, როგორც იუწყება გაზეთი „ნიუ რეინ-ცეიტუნგი“, 20 წუთის განმავლობაში შეიძლება.

ჭადრაკი

გადამწყვეტი ეტაპი

კარპოვი — პეტროსიანი, პორტიში — ლიუბოევიჩი

მელანის საერთაშორისო ტურნირის შესარჩევი ნაწილის შეჯიბრებმა თავისთავად განაპირობა ნახევარფინალის წყვილების შემადგენლობა: პორტიში (როგორც შეჯიბრებაში გამარჯვებული) ხვდება სატურნირო ცხრილში მეოთხე ადგილზე გამოსულ ლიუბოევიჩს, ხოლო კარპოვი (მას წინასწარ ტურნირში მეორე ადგილი მიეკუთვნა) — პეტროსიანს (მესამე).

ნახევარფინალურ ეტაპზე მეტოქეები ოთხ-ოთხჯერ ხვდებიან ერთმანეთს. ამასთან, დებულების თანახმად, თუ მატჩები ყაიმით (2:2) დასრულდა, ფინალში გადაა კარპოვი და პორტიში. რატომ? იმიტომ, რომ წინასწარ ტურნირში მათ მოწინააღმდეგეებზე უკეთესი შედეგები ჰქონდათ.

ორივე მატჩი დიდ ინტერესს იწვევს.

დავიწყოთ იმით, რომ პეტროსიანი ერთადერთია გამოჩენილ დიდოსტატთა შორის, რომელსაც უკეთესი ანგარიში აქვს კარპოვთან (1 მოგება, რამდენიმე ყაიმი). გარკვეულ ინტერესს იწვევს ის გარემოებაც, რომ მსოფლიოს ჩემპიონსა და ექს-ჩემპიონს მსგავსი სტილი აქვთ — დიდი ენერგიანი, მაბეზრელი თამაშის განსაკუთრებული ხელოვნება, დაწვეული ტაქტიკა; ორივე ნათელი პოზიციური თამაშისაკენ იოტვის და შეძლებისდაგვარად ერიდება ბუნდოვან, ორმხრივი შესაძლებლობებით სავსე მწვავე შეხლაშემოხლას. ორივე მეტოქე უაღრესად იშვიათად აგებს. წესულს, მაგალითად, კარპოვმა სამ ტურნირში მხოლოდ ერთი პარტია წააგო (ამას წინათ შვედ ანდერსონთან), პეტროსიანმა — სამ ტურნირში ორი პარტია (ორივე სპარტაკიადაზე — სპასკისთან და ვაპნიანთან).

ასე, რომ მართლაც ძალიან საინტერესოა ვისი „ჯავშანი“ უფრო მტკიცე აღმოჩნდება. მეტოქეები ამასთან ჩინებულად იცნობენ ერთმანეთს. საკმარისია აღინიშნოს, რომ კარპოვ-კორჩნოის მატჩის დროს პეტროსიანი კარპოვის ერთ-ერთი მწვრთნელი იყო. ეფექრობთ, არ შეეცდებიან, თუ ვიტყვთ, რომ მატჩი, თუმცა პატარაა, ერთნაირად ძნელი უნდა აღმოჩნდეს ორივე მეტოქისათვის.

პორტიში, მას შემდეგ, რაც ფიზიკური აღარ თამაშობს, ხოლო ლარსენი უფრედელის აჩრდილია, საზღვარგარეთის № 1 მოჭადრაკედ არის მიჩნეული. ადრე იგი სამაზის დამარცხდა პრეტენდენტთა მატჩებში (ტალთან, ლარსენთან და პეტროსიანთან), მაგრამ კიდევ აქვს დრო მიაღწიოს საწადელს — პორტიში 38 წლისაა. იგი გამოირჩევა კოლოსალური სადებიუტო ერუდიციით, ბრწყინვალე ტექნიკით, დიდი შეუპოვრობით. მკაცრ პოზიციურ თამაშში „უნგრელი ბოტვინიკი“ თითქმის შეუვალია. მაგრამ 25 წლის ლიუბოევიჩს, რომელიც პორტიშს ვერც ცოდნით დაუპირისპირდება, ვერც ტექნიკით და ვერც პოზიციური თამაშის ხელოვნებით, აქვს ერთი რამ, რასაც პორტიში ვერ დაიტრაბახებს — უმდიდრესი ფანტაზია. ლიუბოევიჩი ისე ლაღად და მშვენივრად ატარებს იერიშს, როგორადაც თავის დროზე ტალი თუ წარმართავდა. ამიტომ ჰქვია მას „ეგოსლავიის ტალი“. ერთი სიტყვით, სტრატეგიულად დაბადებული პორტიში ხვდება ტაქტიკოსად დაბადებულ ლიუბოევიჩს. ეფექრობთ, ერთგვაროა წინასწარი უპირატესობა მაინც პორტიშს უნდა მიეკუთვნოს. ადრინდელ შეხვედრებსაც უმთავრესად იგი იგებდა.

მაგ ასე, იწყება სასტუმრო. „ლონარდო და ვინჩის“ სანახობის ფარად თვალწარმტაცი ეტაპი.

გ. გამრეკელი.

ოპერაციული მაგალითებელი

მოკლედ

ფეხბურთი. ბაფრანგეთის ქალაქ ვიტელის ოლიმპიურ საცურაგ აუზში გაიმართა ევროპის ჩემპიონატი ჩაჩარსული წყალქვეშა ცურვაში. გათამაშებული 42 ოქროს მედლიდან საბჭოთა გუნდმა მოიპოვა 37 და ზედიზედ მერვედ გახდა კონტინენტის ჩემპიონი. საინტერესოა, რომ დღეისათვის ოფიციალურ 18 მსოფლიოს რეკორდი საბჭოთა სპორტსმენებს ეკუთვნით. განსაკუთრებულია, რომ გაიხადა კანოვერში (გფრ) გაიმართოს მსოფლიოს პირველი ჩემპიონატი სპორტის ამ სახეობაში.

რიგბი. ლენინგრადში მიმდინარეობს საერთაშორისო ტურნირი გაზეთ „სოციალისტიჩესკაია ინდუსტრიას“ პრიზზე. მორიგ ტურში საბჭოთა კავშირის მეორე ნაკრებმა დაამარცხა რუმინეთის ახალგაზრდული გუნდი — 9:3 (6:3), პირველმა ნაკრებმა კი წააგო პოლონელებთან — 15:21 (6:11). საბჭოთა გუნდში შესანიშნავი თამაშით კვლავ გამოირჩეოდა ტურნირის მთავარი ბომბარდირი, თბილისის „ეერიის“ თავდამსხმელი ვლადიმერ აბაშიძე, რომელმაც კოლექტივს ამ დღეს 11 ქულა შესძინა.

საქართველოს სსრ მხუბუჭი მრეწველობის სამინისტრო, საფეიქრო და მხუბუჭი მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგი, პერსონალური პენსიონერი

თინათინ ლუკას ასული ლომიძე.

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგ ბ ი ს მთავარი სამმართველოს კოლექტივი იუწყება, რომ გარდაიცვალა ამ სამმართველოს განყოფილების ყოფილი უფროსი, პერსონალური პენსიონერი, 1940 წლიდან სკკპ წევრი

სილოვან პეტრეს-ძე სურმავა

და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს.

როგორ გამოეპარა ეს თვალსწრ.

თბილი ფული

ანუ როგორ დაიფარა მეურნეობა კმრძო საათბურებით

რედაქციაში წერილი მოვიდა, კერძო საათბურების ლამის მეურნეობა წალეკოს, საზოგადოებრივი საქმე იშლება. გამკითხავი არავინ არისო — გვწერდნენ მცხეთის რაიონის სოფელ დიღმიდან. ცნობა გაზეთადებული გვეფონა, ვიფიქრეთ, ისეთი რა საათბური იქნება, ალბათ ოჯახისათვის ბოსტნეული და ყვავილი გამოაყავთ. შესაძლოშებლად მაინც წავედით. წავედით და რაც იქ ვნახეთ, შეიძლება ადამიანს მართლაც დაუჯერებელი ეჩვენოს.

სანამ დიღმის მერძევეობა-მებოსტნეობის სავარგულებს დავათვალიერებდით, წერილი სოფლის მესვეურებს, საბჭოთა მეურნეობის დირექტორს რ. ბზიშვილსა და სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ვ. თეთრაშვილს გავაცანით. ორივე ანალდანიშნულია.

— სამწუხაროდ, რაც აქ წერია, ყველაფერი მართალია, კერძო რეწვამ და მოსავლის მამასისხლად გაყიდვამ მასობრივი ხასიათი მიიღო, სასტიკად არღვევენ ზემდგომი ორგანოების 1974 წლის 10 ივლისის დადგენილებას. გავეცანით დადგენილებას, რომელშიც ნათქვამია, რომ რაიონულ ცენტრებსა და დაბებში ფართოდ გავრცელდა საბურების მოწყობა ყვავილების, სოფლის მეურნეობის პროდუქტების მოსაყვანად და სპეკულაციურ ფასებში გასაყიდად. მათი ასეთი მოქმედება იწვევს მუშახელის მოწყვეტას საზოგადოებრივ სასარგებლო საქმიანობისაგან. მთავრობამ საჭიროდ ჩათვალა შეიზღუდოს კერძო სარგებლობის საბურების ფართობი, ქალაქში იგი არ უნდა აღემატებოდეს 50 კვადრატულ მეტრს, ხოლო სოფლად 100 კვადრატულ მეტრს. დადგენილება კრძალავს კერძო საბურების შენებლობაზე იმ მასალების გამოყენებას, რაც საცალო ვაჭრობა ქსელში არ იყიდება.

ამ დადგენილების შესასრულებლად დიღმაში შეიქმნა კომისია, მაგრამ „საბურმანიამ“ ისეთი მასორივი ხასიათი და დიდი მასშტაბი მიიღო, რომ ბრძოლა გაძნელდა.

ჩვენ აქ მარტო ვერაფერს გავხდებით, კომისია შექმნა პარტიის მცსეთის რაიონულმა კომიტეტმა და ერთობლივად ვეეგზავთ ღონისძიებების გატარებას — გვითხრეს სოფლის ხელმძღვანელებმა.

წაგვიდით საბურების სანახავად. სპეკულაციური გზით მოტაცების შედეგები ბრიელი ნაბიჯებიდანვე გამოჩნდა. გენებაშვილების ეზოსთან ორი ახალი „ვოლგა“ გაზ-24 იდგა, ერთი თეთრი, მეორე შავი. ძმებისაა, გეითხრეს. გზისპირას შესანიშნავი ორსართულიანი სახლები წამდუუმავთ. ეზოში დამხმარე კაპიტალური ნაგებობა იდგა: გარაჟი, საქვაბე და ჯერ მეტია, დადგენილება რატომ დაარღვიეთ? — შევეკითხეთ.

— სხვას ორი-სამი ასეთი საბურები აქვს, მე ვინ რა უნდა მითხრასო, — გაგულისებით გვიპასუხა.

ასე მხოლოდ რუბენი რიდი ფიქრობს. დიღმელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ისე აღმოჩნდა გამდიდრების, მოხვეჭის, სპეკულაციის მანიით შეპყრობილი, რომ ისინი ხმის ამაღლებასაც ბედავდნენ მათი ანტისაზოგადოებრივი მოქმედების დასაცავად.

თვითეული საბურის ღირებულებით დავინტერესდით. ასეთი კაპიტალური საბურის შენებლობაზე იხარჯება ოც ტონამდე რკინა. ექვსასი კვადრატული მეტრი მინა, დიდი რაოდენობით ცემენტი და საღებავი. თვითეული საბურები დაახლოებით ათი ათასი მანეთი ჯღება. მაგრამ ეს ყველაფერი რიდია. სასოფლო საბჭოს აღრიცხვით დიღომში — მცირედ ოთხასზე მეტი ასეთი კაპიტალური საბურია. თვითეულ საბურში გათბობის რთული სისტემაა მოწყობილი, 10-15 ტონის ტევადობის რეზერვუარითა და მძლავრი ღუმელებით. თვითეული ღუმელი გათბობის სეზონში ხარჯავს 30 ტონა თხეკად საწვავს. ჩვენი გაანგარიშებით მარტო დიღმის „საბურმანიიან“ შეპყრობილნი სეზონში ხარჯავენ თორმეტი ათას ტონამდე საწვავს, ეს კი დიდი ტანკერის ტვირთია. განა სპეკულანტებს იმის უფლება უნდა მიეცეთ, რომ ასე ბარბაროსულად მოეპყრონ სახელმწიფოს ფოლათს?

ზამთარში, როცა დიღმის „მრეწველთა“ ოთხასი ღუმელი აგუგუნდება, ისეთი შთაბეჭდილება იქნება, თითქოს ეულკანმა უნდა ამოხეთქოს, თანაც წვის დროს ისეთ მავნე აირებს გამოპყოფს, სუნთქვა ჭირსო, შემოგვიჩივლეს მეურნეობის „აქტივისტებმა.

სოფელში უმრავლესობას თითო საბურა აქვს, მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებმაც ყოველგვარი ზომიერება დაკარგეს და გამდიდრების სურვილს ანაცვალეს საზოგადოებრივი მოვალეობა. მათ არც მთავრობის დადგენილებას გაუწევეს ანგარიში. აი ისინი: ნიკოლოზ ხმალაძე, რამინ თოფჩიშვილი, ჯუანშერ გილაური, ნუგზარ გენებაშვილი, თამაზ გენებაშვილი, რამაზ ლასურიძე, ნობილე გენებაშვილი, აკაკი ლასურაშვილი, მიხეილ გენებაშვილი და სხვები. გრიგოლ ჭამუტაშვილს საბურებს 760 კვადრატული მეტრი უჭირავს, ეს ადამიანები დიღომში ცხოვრობენ, მაგრამ მშობლიური სოფლის საზოგადოებრივ საქმიანობაში არც ერთი არ მონაწილეობს, ქალაქში არიან სხვადასხვა სამუშაოზე გაფორმებულნი, ზოგნი ნამდვილად, ზოგნი ყალბად. მათ მეურნეობისათვის არა სცხელათ. ნახეს სარფიანი საქმე, (თვითეული საბური მოსავლის სპეციალურ ფასებში გაყიდვით წლიურად 10 ათას მანეთამდე მოგების იძლევა) მათი ინტერესები საკუთარ კარმიდამოს იქით არ მიდის. მოთუთიებული თუნუქით დახურული მოზაიკით მოპირკეთებული სახლები, მსუბუქი მანქანები, ფულის დაგროვება — აი მათი მიზანი და ცხოვრების იდეალი. აღსანიშნავია ისიც, რომ არც ერთ „მესათბურეს“ სათბურების მშენებლობაზე არა აქვს სათანადო ნებართვა, მასობრივად დაადგენენ თვითნებობის გზას.

ყველამ თავის თავს მიხედოს, მე ნეტა საკარმიდამოში რაც მინდა, იმას გავაკეთებო, — ზოგიერთმა გამოუშვვად გვიპასუხა. მაგრამ მთლად ასე როდია. ასეთ ადამიანებს დაავიწყდათ, რომ სახელმწიფოში კანონები მოქმედებს. არავის აქვს უფლება მოსავალი ბაზარში ამასისხლად გაყიდოს, პატრონსან მშრომელებს სისხლი გამოსწოროს და ასეთი ბრი თვითონ სიმდიდრეში ჩაეფლოს.

დიღმელთაგან კოოპერაციული ან დამამზადებელი ორგანიზაციებისათვის არც ერთი კილოგრამი სათბურიდან მიღებული მოსავალი არ ჩაუბარებიათ. როცა მათ მოვაგონეთ მეევნებათა, მეხილეთა, მეცეტრუსეთა მაგალითი, რომელიც თვითანთ სუფთალითა მთელ მოსავალს ან მოსავლის დიდ ნაწილს სახელმწიფოს აბარებენ, ეს არ ესიამოვნათ.

მრავალმა „მესათბურემ“ წყლის ცენტრალური ხაზზე თვითნებურად მიაერთა მილები. ერთ-ერთ ნაკვეთში 6 ონკანი ვნახეთ. მაშინ, როცა ქალაქსა და სოფლებს სასმელი წყალი არა ჰყოფნით, კერძო მობინადრეები სათბურებსა და ბაღებს რწყავენ.

დიღმელებს საიდან გაუჩნდათ ასეთი ანტისაზოგადოებრივი მისწრაფებები? ნუთუ მათზე ვერაფერი გავლენა ვერ მოახდინა ახალმა ძვრებმა, რაც ჩვენს რესპუბლიკაში მოხდა?

რა გამოიწვია დიღმელ საქმოსანთა ასეთმა მოქმედებამ? — საბჭოთა მეურნეობის ეკონომიური დაქვეთება. ვენახებსა და ბაღ-ბოსტნებს აკლია მზრუნველი ხელი, მეურნეობას მუშახელი არ ჰყოფნის, მაშინ, როცა 250 კომლი სპერთოდ არ მონაწილეობს მეურნეობის საქმიანობაში, ან საკუთარი სათბურებით არიან გართულნი, ან სხვაგან მუშაობენ. მეურნეობის 7.000 მცხოვრებიდან საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩაბმულია 600 მუშა, აქედან 450 პენსიონერია, როგორც ხედავთ, სტატისტიკა შუამაფოთებელია. პირველ ბრიგადაში 47 მუშახელიდან 30 პენსიონერია, მეურნეობას ძირითადად პენსიონერები უდგანან მხარში. საერთო საქმეს ასეთმა უპასუხისმგებლო, დანაშაულებრივმა დამოკიდებულებამ გამოიწვია ის, რომ მეურნეობამ 1971 წელი 77 ათასი მანეთი ზარალით დამთავრა, 1972 წელი — 503 ათასი მანეთით, 1973 წელი 242 ათასი მანეთით, ხოლო 1974 წელი 124 ათასი მანეთი ზარალით. მეურნეობა ჯერაც ვერ გამართულა წელში.

ვინ დადგა წაყრუების გზას, სპეკულანტები ვინ მიუშვა თავის ნებაზე, ვინ მიიყვანა მეურნეობა ამ მდგომარეობამდე?

აქტივისტებმა დაგვისახელეს მეურნეობის რამდენიმე ყოფილი ხელმძღვანელი, რომლებმაც ხელი გაუხსნეს დიღმელ „მრეწველებს“. უფრო მეტიც, 30 თბილისელ მოქალაქეს, რომელთაც არავითარი კავშირი არ ჰქონდათ დიღომთან, ხელგაშლილი დაურიგეს ნაკვეთები.

„მესათბურეობამ“, სპეკულაციის სურვილმა შეკრა გაიტაცა. მაგალითად, თეიმურაზ გელაურავა მიგვიდგრობს თავი დანაბა და სათბურის მშენებლობა დაიწყო. გელაურასაც დაებადა იოლი გზით ფულის მოხვეჭისა და „ვოლგის“ შეძენის სურვილი.

უნებურად გებადებათ კითხვა: როცა ერძო მესაკუთრულ ტენდენციებით შეპყრობილი ადამიანები მოლიპულ გზას დაადგენენ, იმ დროს რა აკეთებდა მეურნეობის პარტიული ორგანიზაცია? ვისაც რა უნდა თქვას, წასაქცევლია კი ფქვასო, ასეთია უბნის რწმენებულის შ. დავითულიანის პოზიცია დიღმელი „მრეწველებისადმი“. მის თვალწინ ხდება ყველა დანაშაული, მაგრამ არავითარ ზომებს არ იღებს, რაც აშკარად, საეჭვოს ხდის მის მოქმედებას. გაკვირვებაა იწვევს თვით რაიონის აღმინისტრაციული ორგანოების პასიურობა ამ საქმეში.

„მესათბურეობა“ მეტისმეტად საბიფთო ეპიდემია გახდა, რომელიც დიღმიდან „ინფექციის“ სახით ლისსა და სხვა სოფლებში გადასული. ასეთ საშიშ ავადმყოფობას, რომელიც ანლუნგებს ადამიანის გონებას, ინიავებს სახელმწიფო ქონებას, ხელს უწყობს სხვადასხვა ბოროტებას, დროულად უნდა მკურნალობა.

სასიამოვნოა, რომ განგაში დიღმის პატრიოსანმა მშრომელებმა ატეხეს, რომელთაც დიღმელ „მრეწველთა“ საქმიანობა საძრცხვინოდ მიაჩნიათ. დიღმელმა აქტივისტებმა ამ ძმიმე მდგომარეობიდან გამოსავალიც ნახეს: სპეკულაციასა და იოლი გზით ფულის მოხვეჭას ბოლო რომ მოეღოს, მათ რამდენიმე საინტერესო წინადადება წამოაყენეს: დიღომს ის სათბურები, რომლებიც აღმოჩნდება მთავრობის მიერ დაწესებულ ნორმაზე მეტი. „მესათბურეებს“ არ მიეცეთ ბაზარზე სპეკულაციურ ფასებში გაყიდვის უფლება, მთელი მოსავალი ჩაბარონ დამამზადებელმა ორგანიზაციებმა, ხოლო იმ პირებისა კი, ვინც, რომლებიც დაარღვევენ მთავრობის დადგენილებებს, განიხილოს მართლმსაჯულებამ.

დიღმელ აქტივისტთა წინადადებები ყველა საყურადღებოა.

მ. გორგილაძე,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.



შეხედეთ ამ ოთხ სურათს. სულ მოკლე დროში დიღმის რელიეფი ასე დაიფარა გამდიდრების მანიით შეპყრობილი ნაკოლოზ ხმალაძის, გრიგოლ ჭამუტაშვილის, რამინ თოფჩიშვილის, ჯუანშერ გილაურის, მიხეილ, ნუგზარ და თამაზ გენებაშვილების, აკაკი ლასურაშვილისა და სხვა მრავალთა გიგანტი სათბურებით.

ს. კილაძის ფოტო.

ტელევიზია

4 სექტემბერი

პირველი პროგრამით

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.10 — დილის ვარჯიში. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — „მხიარული სტარტები“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „სიჩქარეების მასწავლებელი, 12.00 — კინომიმოხილვა „მოსკოვი“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.30 — მხატვრული ფილმი „კარპუხინი“, 17.05 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „დღესასწაული სამშობლო დღეს“, 17.55 — განცხადებები, 18.00 — „ბრამეიფი — რუსული ფერწერის საგანძური“. ფერადი გამოსახულებით, 18.30— „ტყავის ბურთის“ პრიზზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.00 —„პარტიული ცხოვრება“, 19.20 — „დოკუმენტური კინო ბრალს სდებს (გამეორებით), 19.50 — „სოფლის მეურნეობის სპეციალისტის ტრიბუნა“, 20.20 — „ჩვენი კომენტარი“, 20.30 — „ჰელსინკის შემდეგ, 21.00—„მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა 21.30 — კონცერტი, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.35 — საავტერადიო-გასართობი პროგრამა „მეერის ციციანათელა“. ფერადი გამოსახულებით, 23.10 — საერთაშორისო ჟურნირი მხატვრულ ტანვარჯიშში „ოქროს რგოლი“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),

მეორე პროგრამით

19.05 — კონცერტი.

რადიო

5 სექტემბერი

პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 08.00 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა (გადმოცემა მოსკოვიდან), 08.32 — კამერული მუსიკა, 09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — ქართული ხალხური სიმღერები, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (გადმოცემა მოსკოვიდან). 11.05 — ვ. მურადელი, ოპერა „ოქტომბრის“ ნაწყვეტები, 11.45 — საუბარი „